ასლი

 სსიპ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბრძანება
13.09.2010 N 122
თბილისი
უცხოური ენების სწავლების
გაუმჯობესების შესახებ

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში უცხოური ენების სწავლების გაუმჯობესების მიზნით მასწავლებლის/უფროსი მასწავლებლის თანამდებობის დასაკავებლად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შემოწმდეს შესაბამის პედაგოგთა ცოდნის დონე ინგლისურ ენაში და ამ მიზნით ჩამოყალიბდეს საორგანიზაციო-ტექნიკური ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:
   - გიორგი აბრამიშვილი, სწავლების დეპარტამენტის სასწავლო პროცესის მართვის განყოფილების უფროსი – კომისიის თავჯდომარე;
   - დავით კაპანაძე, ეკონომიკური ინფორმატიკის მიმართულების ასოც. პროფესორი – კომისიის წევრი;
   - თამარ ლომინაძე, ეკონომიკური ინფორმატიკის მიმართულების სრული პროფესორი – კომისიის წევრი;
   - მზია კიკნაძე, სისტემებისა და ქსელების მიმართულების ასოც. პროფესორი – კომისიის წევრი;
   - თეა თოდუა, ხელოვნური ინტელექტის მიმართულების ასოც. პროფესორი – კომისიის წევრი;
   - თალიკო ჟვანია, ეკონომიკური ინფორმატიკის მიმართულების ასოც. პროფესორი – კომისიის წევრი;
   - არჩილ ბარბაქაძე, სამსხმელო წარმოებისა და ახალი ტექნოლოგიური პროცესების მიმართულების ასოც. პროფესორი – კომისიის წევრი.

2. ჯგუფს დაევალოს:

   ა) განახორციელოს ტესტირების ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფა;

   ბ) შეადგინოს ტესტირებაში მონაწილე პედაგოგების სია და ტესტირების გრაფიკი;

   გ) უზრუნველყოს პედაგოგებისთვის ინსტრუქციისა და ტესტირების თარიღების დროული მიწოდება;

   დ) ჩაატაროს ტესტირება დადგენილ ვადებში;

   ე) აცნობოს ტესტირებულებს მათი შედეგები ტესტირების დამთავრებისთანავე.

3. ტესტირების პროცედურასთან და შედეგებთან დაკავშირებული შესაძლო პრეტენზიების განხილვის მიზნით შეიქმნას საპრეტენზიო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ხათუნა მხეიძე, სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა მონაცემთა ბაზების ფორმირების და აკადემიური დატვირთვების განყოფილების უფროსი – საპრეტენზიო კომისიის თავჯდომარე;
გურამ ჯოლია, ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი – კომისიის წევრი;
მირანდა ბერიშვილი, ასოცირებული პროფესორი – კომისიის წევრი;
რუსუდან გოცირიძე, სრული პროფესორი – კომისიის წევრი;
თამარ მებუკე, მოწვეული პროფესორი – კომისიის წევრი;
მანანა ჩხარტიშვილი, ასოცირებული პროფესორი – კომისიის წევრი.

4. საპრეტენზიო კომისიაში განცხადებების მიღება მოხდეს შედეგების გამოცხადების დღესვე, 17 საათამდე.
5. საპრეტენზიო კომისიამ უზრუნველყოს ყოველი განცხადების განხილვა და განმცხადებლისთვის გადაწყვეტილების გაცნობა.
6. ტესტირება ჩატარდეს 18 სექტემბერს 14 საათზე სტუ-ს I სასწავლო კორპუსის VI სართულზე.
7. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს რექტორის მოადგილეს ლევან კლიმიაშვილს.
8. ბრძანება განთავსდეს სტუ-ს ვებგვერდზე.
9. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

რექტორი *ა. ფრანგიშვილი*

ვიზები:

რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში
ლ. კლიმიაშვილი
სწავლების დეპარტამენტის უფროსი
ი. ლომიძე
იურიდიული დეპარტამენტის უფროსი
ბ. მაისურაძე